31/12/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქუთაისის 29-ე სკოლის მოსწავლეები მიიღო

ა.წ. 27 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), ეპარქიის სამღვდელოება, მრევლი და 29-ე სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები მიიღო. შეხვედრას ესწრებოდნენ ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) და სხვა სასულიერო პირები.

ბავშვებმა წარმოადგინეს ღონისძიება სახელწოდებით ,,საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა“ და ჩვენი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთები გააცოცხლეს.

სამღვდელოებამ და მრევლმა მის უწმინდესობას აღსაყდრების დღე მიულოცეს და ჯანმრთელობა უსურვეს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა სტუმრები, წარმატებები უსურვა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

— patriarchate.ge